საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-SECURITY POLICE DEPARTMENT

№ 7773 „04" 01 2012წ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ 2011 წლის 12 დეკემბერს, საინჟინრო–საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ №237 კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტ შპს ,,ირაო არტი"–სთან, მ. წ 28 დეკემბერს, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №04/713/02 ხელშეკულება.

გთხოვთ თქვენს განკარგულებას ხელშეკრულების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ახვლედიანი

0031, საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ, ტელ: 2966316, (ფაქსი) 2517497, WWW.SPD.GE
0031,GEORGIA,TBILISI,DAVID AGMASHENEBELI ALLEY 11-TH KM, TEL:2966316, (FAX) 2517497, WWW.SPD.GE

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 04/713/02

კონკურსი

71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვა

ქ. თბილისი "28" დეკემბერი 2011 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარატამენტი (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი; **ს/კ№211350928; ს/ს „ლიბერთი ბანკი" ც/ფ; ბანკის კოდი: №LBRTG22; ა/ა № GE85LB0121158008584000**), წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილით **მიხეილ ახვლედიანით** (შემდგომში „შემსყიდველი") და შპს „ირაო არტ"-ი, (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4; ს/კ204536010, სს ბანკი „რესპუბლიკა"ც/ფ; SWIFT: REPLGE22; ა/ა GE78BR0000010228891515; წარმოდგენილი დირექტორით შალვა ჩიტიშვილით (შემდგომში „მიმწოდებელი") მიღწეული ურთიერთშეთანხმების, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: შემსყიდველმა გამოაცხადა № 237 კონკურსი 71320000 **საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება – 21500 (ოცდაერთიათასხუთასი) ლარის ღირებულების მომსახურების მოწოდებაზე.**

## ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგეენს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარგებლობაში, ქ. ქობულეთში ვერულიძის ქ. №4-ში მდებარე 477 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის (მასზე დამაგრებული 654 მ$^2$ მიწის ნაკვეთით) შენობის რეკონსტრუქციისათვის საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვა (შემდგომში მომსახურება).

1.2 ხელშეკრულება იდება № 237 კონკურსშიგამარჯვებულ პირთან.

1.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია 71320000;

1.4 საინჟინრო-საპროექტო მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობის ეტაპები იყოფა:

- I ეტაპი - არქიტექტორული პროექტი (ინტერიერის და ექსტერიერის რეკონსტრუქცია),
- II ეტაპი – კონსტრუქციული ნაწილი: ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი; ელექტრომომარაგების პროექტი(შიდა ელექტრომომარაგება , განათება); შიდა წყალმომარაგება – კანალიზაციის პროექტი; გათბობა ვენტილაცია – კონდიცირების პროექტი; სუსტი ქსელების; ინტერიერის დიზაინის პროექტი (ძირითადი სივრცეები სართულების მიხედვით: ჰოლი კორიდორები, კიბის უჯრედი; სასტუმრო ნომრები, საბილიარდე, ვერანდა, ავნები და სხვა); ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა; შიდა ინტერიერში გამოსაყენებელი მასალების დახასიათება. კონსტრუქციული და მუშა პროექტები; შენობის სახანძრო უსაფრთხოების; გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირების პროექტები; მშენებლობის ორგანიზაციის პროექტები (კალენდარული გრაფიკით) და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

1.5. სამუშაოთა შესრულების ვადები

მომწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერიდან, ეტაპობრივად, მიღება ჩაბარების პროცედურების გათვალუსწინებით, 30 სამუშაო დღის ვადაში. მათ შორის:

- I ეტაპი – 7 სამუშაო დღე; (ხელშეკრულების ხელმოწერიდან).
- II ეტაპი – 23 სამუშაო დღე. ( I ეტაპის მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან)

## 2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 კონტროლს ხელშეკრულებით ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფი. შემოწმების მიზანია მომსახურების გაწევის ვად(ებ)ის, მოცულობისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით განახორციელებს უფლებამოსილი წარმომადგენ (ლები)ელი:

1. რევაზ სიხარულიძე ------------------------ 2. დავით სიგუა ------------------------------------

## 3.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი- პირველი ეტაპი ითვალისწინებს მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის 30% მდე შესრულებას) მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების ხელმოწერის შემდეგ.
3.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის)მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
3.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.
4.4 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს საქართველოში დადგენილ სტანდარტებს.
3.5 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უნაკლოდ შესრულებული შესყიდვის ობიექტი.
3.6 მოსაწოდებელი პროდუქტის(საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება) შესრულებისას ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს იგი გონივრულ ვადაში მაგრამ არა უმეტეს 10 კალენდარულ დღეში.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1 შესყიდვის ღირებულებაა 21500 (ოცდაერთიათას ხუთასი)) ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით;.
4.2 ანგარიშსწორება უნაღდო. ფორმა –სტანდარტული. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება კანონმდებლობის შესაბამისად, ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

4.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. გაწეული ხარჯი, რომელიც არ შედის ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში არ ანაზღაურდება.

4.5 ანგარიშსწორება ხორციელდება სსიპ-დაცვის პოლიციის 2011 წლის **საკუთარი სახსრებით**.

4.6 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

5. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

## 7. მხარეთა უფლება –მოვალეობანი და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:**

7.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი **სრული მოცულობით, ხელშეკრულების 1.5 პუნქტის** შესაბამისად.

7.1.2. დამკვეთის მიერ დამტკიცებული ტექნიკური პროექტის საფუძველზეშეიმუშაოს მუშა დოკუმენტაცია პროექტის განხორციელების ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით;

7.1.3 მოწოდებული საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სამშენებლო ნორმას და წესს;

7.1.4 შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები პირადად და არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მესამე პირ(ებ)ს.

7.1.5 მომწოდებელმა, , უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება)

7.1.6. მომწოდებელი საავტორო ზედამხედველობას განახორციელებს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მთელ პერიოდში –სამუშაოების დასრულებამდე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების გრაფიკის შესაბამისად;

7.1.7. პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მხარეებს შორის განხორციელდება შესაბამისი შეთანხმება და ცვლილებების შეტანა ხელშეკრულებაში.

**7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას**

7.2.1 მიაწოდოს მომწოდებელს საპროექტო დავალება წერილობითი სახით, ტოპოგრაფიული გადაღება მიწისქვეშა კომუნიკაციების ასახვით, ტექნიკური პირობები, შიდა აზომვითი ნახაზები შენობის კონსტრუქციის ასახვით და საექსპერტო დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, დაშენების პერსპექტივის განსაზღვრის მიზნით.

7.2.2 სრულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

7.2.3 შეამოწმოს მიღებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით დადგენილ ხარისხთან და მოთხოვნებთან.

7.2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს პრეტენზია გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.6 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოახდინოს მიმწოდებლის დაჯარიმება ხელშეკრულების უზრუნველყოფის

გარანტიის საფუძველზე.

## 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო ან სადაზღვევო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის **გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით.**

8.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

8.4. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს დაუბრუნოს გარანტია შემდეგ შემთხვევებში:

ა) გარანტიის მოქმედების ვადის გასვლისთანავე;

ბ) მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას;

## 10. დაუძლეველი ძალა(ფორს-მაჟორი)

10.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ველდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი, გარდა 10.3 პუნქტისა.

10.2 ამ მუხლის მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ მიმწოდებელი შემსყიდველის მხრიდან არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**11. ხელშეკრულების შეწყვეტა, შეჩერება და მიტოვება.**

11.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11.2 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და

ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.4 მომწოდებელი უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება ხელშეკრულების გაუქმებამდე შესრულებული ყველა სამუშაოსათვის.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

12.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაციის შესახებ;

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას;

12.5.ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია.

12.6.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არაუგვიანეს 10(ათი) დღისა წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;

12.7.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

## 13. დამატებითი პირობები

13.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

13.3.მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4 მხარეებს არ აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5.კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაივლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის განმჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ერთი "შემსყიდველთან" და ერთი "მიმწოდებელთან".

13.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

## 14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ მოლაპარაკებების დაწყების დღიდან 30 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმების მოგვარებას, მხარეებს შეუძლიათ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 15. ინტერესთა კონფლიქტი

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ერთი ინახება შემსყიდველთან მეორე მომწოდებელთან.

| | |
|---|---|
| <u>შემსყიდველი:</u><br>საქართველოს შ.ს.ს. ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი<br>თავმჯდომარის მოადგილე:<br>------------------------------------------<br>/მიხეილ ახვლედიანი/<br>ს/კ№ 211350928;<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ც/ფ;<br>SWIFT : LBRTGE22<br>ა/ა № 850121158008584000 | <u>მიმწოდებელი:</u><br>შპს „ირაო არტ"-ი, ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4;<br>დირექტორი:<br>------------------------------------------<br>/შალვა ჩიტიშვილი /<br>ს/კ204536010;<br>სს ბანკი „რესპუბლიკა"ც/ფ;<br>**SWIFT: REPLGE22;**<br>ა/ა **GE78BR0000010228891515;** |

152209/09/ვ8
03.01.2012

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

ცენტრალური ფილიალი

# ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია

სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "ირაო არტ"-მა (ს/კ 204536010), შემდგომში "მიმწოდებელმა", 2011 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №04/713/02 ხელშეკრულებით (საინჟინრო საპროექტო მომსახურების შესყიდვა) იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ სს ბანკ "რესპუბლიკა"-ს ცენტრალური ფილიალი ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 645 (ექვსას ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევის საფუძველზე თქვენი მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, არაუგვიანეს 2012 წლის 30 მარტისა.

ივანე ჯაფარიძე — ცენტრალური ფილიალის მმართველი

გიორგი სულამანიძე — ცენტრალური ბექ ოფისის სამსახურის უფროსი

ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა"
ცენტრალური ფილიალი
გრ. აბაშიძის ქ. 2
თბილისი, 0179
საქართველო

ტელ.: (995 32) 292 55 55
ფაქსი: (995 32) 292 55 44
E-mail: info@republic.ge
www.republic.ge